სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

20.07.2016 N 136

თბილისი

სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის ფორმირებისა და მობილობის შესახებ ინსტრუქციის საფუძველზე

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2016–2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების სხვადასხვა საფეხურებზე (სადოქტორო, სამაგისტრო, საბაკალავრო) აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველებმა განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2016 წლის 24 აგვისტოდან 19 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება $10^{00}$ საათიდან $16^{00}$ საათამდე შაბათ–კვირის გარდა (თბილისი, კოსტავას 77, სტუ–ს ადმინისტრაციული კორპუსი, მე–3 სართული, ოთახი N 350);
2. სტუდენტთა აღდგენის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ–ს სასწავლო პროცესის მეთოდური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს გ.აბრამიშვილს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ–ს კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტების დეკანების მ/შ მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ

სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არაუგვიანეს 2016 წლის 23 სექტემბრისა;

5. 2016-2017 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით სსიპ - განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარდგენა უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არაუგვიანეს 2016 წლის 26 სექტემბრისა;
6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლ.კლიმიაშვილს;
7. ბრძანება განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:

ვიცე-რექტორი

ლ.კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი

ი.ლომიძე

სამართლებრივი უზრუნველყოფის

დეპარტამენტის უფროსი

ბ.მაისურაძე

აღდგენის წესით ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

1. განცხადება;
2. პირადობის მოწმობის დედანი და ასლი;
3. სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი) დამოწმებული ბეჭდით;
4. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
5. ჩარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
6. გარიცხვის ბრძანების ასლი, დამოწმებული ბეჭდით;
7. სამხედრო მიწერის მოწმობის დედანი და ასლი (ვაჟებისათვის).

შენიშვნა: აღდგენის წესით დოქტორანტურაში ჩარიცხვა ხდება სტუ-ს სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების შესაბამისად, საფაკულტეტო დროებითი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

ვიცე–რექტორი _____ ლ. კლიმიაშვილი

# დასკვნა

## სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ

(სტუდენტის სტატუსის აღდგენა)

| ინფორმაცია სტუდენტის შესახებ: | | | |
|---|---|---|---|
| სახელი, გვარი | | | |
| სტუდენტის პირადი ნომერი | | | |
| განათლების საფეხური: | | ❑ ბაკალავრიატი<br>❑ მაგისტრატურა | ❑ დოქტორანტურა |
| უსდ, რომელშიც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე: | | | |
| ფაკულტეტი, რომელზეც ირიცხებოდა სტუდენტი გარიცხვა/ამორიცხვამდე | | | |
| სტუდენტის გარიცხვა/ამორიცხვამდე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | | | |
| უსდ-ში ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | | გარიცხვა/ამორიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი: | |

| ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ: | |
|---|---|
| მიმღები ფაკულტეტი: | |
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: | |

| სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი: | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა. | | შეფასება | საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების სრული ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით) | სასწავლო კურსის მოცულობა. | |
| | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი | | | ECTS კრედიტი | აკადემიური საათი |
| | | | | | | |

| დასკვნა: |
|---|
| **გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:** |
| სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე შესწავლილი საგნების რაოდენობა: |
| სტუდენტის მიერ გარიცხვა/ამორიცხვამდე დაგროვილი კრედიტების რაოდენობა: |
| ☐ რეკომენდებულია აღდგენა ☐ აღდგენა არ არის რეკომენდებული |
| **შენიშვნა** |
| |

| მიმღებ ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა: | |
|---|---|

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი

| № | საგნის დასახელება | ECTS კრედიტი |
|---|---|---|
| | | |
| | | |
| | სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა: | |

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

_____ ი.ლომიძე _____ ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

_____ _____ ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

_____ _____ ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:

_____ _____ ხელმოწერა